N 280 22/07/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის აკაკი იმნაიშვილის ანგარიში 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად წარმოგიდგენთ ანგარიშს 2018 წელს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტიამ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ წარმადგინა შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულში მაჟორიტარ კანდიდატად, რომელშიც დამაჯერებლად გავიმარჯვე და გავხდი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვახორციელებდი საკრებულოს ორ კომისიაში. ესენია: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია. მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 18 და კომისიების 17 სხდომაში.

როგორც საკრებულოს წევრი აქტიურად ვმონაწილეობდი საკრებულოს მიერ კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების მიღება-დამტკიცებაში. გამოვყოფ რამდენიმე მნიშვნელოვან აქტს. საანგარიშო პერიოდში განხილული და დამტკიცებული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამები, მისი გაცემისა და მიღების წესი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებები და მისი დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, მოწონებული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სტიქიის

პრევენციის მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი პროექტები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი საჯარო შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტები და ა.შ.

საკრებულოს და საკრებულოს კომისიების სხდომებზე ჩემს მიერ დაყენებული იქნა პრობლემური საკითხები, რომელიც შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულშია. ესენია:

- როგორც კომისიის ასევე საკრებულოს სხდომაზე რამდენიმეჯერ დავაყენე საკითხი, სოფელ შუხუთში, მძიმეწონიანი მანქანების მიერ ჩატეხილი ორი ხიდის შესახებ, რომელიც სოფელს აკავშირებს სახნავ-სათესს ფართობებთან და მოვითხოვე აღნიშნული ხიდების აღდგენა. მოვითხოვე ინერტული მასალის გადასაზიდად ალტერნატიული გზის მოძებნა, ვინაიდან ზიანდება ასფალტის საფარი.
- შუხუთის ცენტრის დასუფთავების საკითხი და მოვითხოვე კვირაში ორჯერ მაინც ცენტრის დასუფთავება.
- სოფელ შუხუთში ორაგველიძეებისა და უგრეხელიძის უბნებში გზების და სანიაღვრე არხების მოწესრიგების შესახებ, ასევე წყლისა და გარე განათების პრობლემის შესახებ;
- სოფელ შუხუთში გორისგვერდის მიმდებარე ტერიტორიაზე კორნელი ორაგველიძის სახლის საკითხი, რომელიც ავარიულ მდგომარეობაშია. არსებობს დანგრევის საშიშროება.მოვითხოვე შესაბამისი ზომების გატარება.
- ავღნიშნე სოფელ შუხუთის საბავშვო ბაღში არსებული სასმელი წყლის პრობლემის შესახებ
- უკმაყოფილება გამოვთქვი სოფელ შუხუთში უხარისხოდ გაკეთებული წყლის სისტემის შესახებ. უმჯობესია გაკეთდეს ერთი კონკრეტული პროექტი და სამუშაოები იყოს შესრულებული ხარისხიანად.
- ტრანსპორტის დანიშვნის საკითხი, რათა აცანელმა ბავშვებმა იარონ შუხუთის საბავშვო ბაღში მანამ, სანამ სოფელ აცანაში ეს პრობლემა არ მოგვარდება;
- სხდომებზე ხშირად ვაყენებდი სოფელ შუხუთის ცენტრში მდებარე, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი, კულტურის სახლის შენობის საკითხს;
- შუხუთის სკოლის საკითხს, რომელიც ავარიულ მდგომარეობაშია. მოვითხოვე კომისიის გამოყოფა, რომელიც შეისწავლიდა შუხუთის სკოლის მდგომარეობას და დასკვნას გადასცემდა შესაბამის სამსახურს რეაგირებისათვის. ჩემს თხოვნას შუხუთის საჯარო სკოლისთვის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების საჭიროების თაობაზე რეაგირება არ მოყოლია.
- ადმინისტრაციული შენობის გასათბობად მისი გაზიფიცირების საკითხი, რაც გამოიწვევს ხარჯების შემცირებას.
- ქალაქის ცენტრში კორპუსების მიმდებარედ შექმნილი აუტანელი მდგომარეობის შესახებ. მთელი დღის განმავლობაში დგანან ტრაილერები და დიდი სატვირთო მანქანები. მათ მიერ ჩახერგილია გზა. მოვითხოვე მიმდებარედ გაკეთებულიყო შესაბამისი საგზაო ნიშანი.

როგორც საკრებულოს წევრს, შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურულ საკითხებს.. სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება შეძლებისდაგვარად მოხდა მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების ფარგლებში. შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულიდან

- მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამით ისარგებლა - 56-მა ბენეფიციარმა (7839,75 ლარი);
- სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამით - 3-მა (1827,25 ლარი);
- ერთჯერადი დახმარება გაეწია - 13 ბენეფიციარს (2700 ლარი);
- დიალეზის პროგრამაში ჩართულია -3;
- მრავალშვილიანი ოჯახების პროგრამაში -3 ბენეფიციარის ოჯახი;
- სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწია - 5 ბენეფიციარს;
- ქირავნობის პროგრამაში ჩართულია ორი ოჯახი;
- გარდა ამისა ყოველთვიურ 50 ლარიან დახმარებას იღებს ორი ომის ვეტერანი
- ერთი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნა საშეშე მერქნით.

აქვე მოკლედ მოგახსენებთ იმ პროექტების შესახებ, რომელიც 2018 წელს განხორციელდა შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში.

- სტიქიით გამოწვეული ზარალის გამო სახლის სახურავით უზრუნველყოფილი იქნა 27 მოქალაქე, ხოლო 5 მოქალაქის სახლი გადაიხურა;
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა ზემო და ქვემო შუხუთის წყლის სათავე ნაგებობას;
- ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარდა ოთხი მოქალაქის ეზოსთან (საერთო ღირებულებით 65324 ლარი);
- მოეწყო მანტკავების უბანში მისასვლელი რკ/ბეტონის გზა;
- მოხდა კუციას ეზოსთან არსებული ხიდის დემონტაჟი და მოეწყო ახალი;
- ორი მოქალაქის ეზოსთან გაიწმინდა ჩამოწოლილი მეწყერი, მოეწყო დამცავი გაბიონი და აღდგა ხიდი;
- შუხუთის ცენტრალურ ნაწილში, ასევე გოჩა გოგუაძის უბანში მოეწყო რკ/ბეტონის სანიაღვრე არხი
- აღდგა დაზიანებული გზა გია ორაგველიძის ეზოსთან.

მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით როგორც ზემო, ისე ქვემო შუხუთში მოეწყობა გარე განათება.

ასევე მიმდინარე წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფლის ამბულატორიას.

მოგეხსენებათ, შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულის მოქალაქეების მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლა. წინა წელს შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა მავნებლების წინააღმდეგ შეწამვლითი სამუშაოები. ცივი შესხურებით დამუშავდა საყანე ფართობები, ხოლო თერმული ნისლით საკარმიდამო ნაკვეთები. შეწამლულ ტერიტორიებზე საგრძნობლად შემცირდა მავნებლების რაოდენობა და ვფიქრობ, რომ ეს პროცესი კიდევ უფრო შედეგიანი იქნება, მომდევნო წლებში.

მე, როგორც საკრებულოს წევრი, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი, ყველა ღონეს ვიხმარ, ჩემი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში გადაწყდეს ყველა ის პრობლემა, რომელიც აწუხებს შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას.

აკაკი იმნაიშვილი



საკრებულოს წევრი
საკრებულოს წევრები